

## დარიალის სახელწოდება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით და მისი დიალექტური შესატყვისოპანი

ქეთევან ქუთათელაძე  
საქართველო

კავკასიის სტრატეგიული კარ-გასასვლელი, რომელიც ცნობილია როგორც „კავკასიის კარი“, „იბერიის კარი“, „კასპიის კარი“, „სარმატთა კარი“, „ქართლის ცხოვრებაში“ „დარიალ/დარიელ/დარიალანის“ სახელწოდებითაა შემორჩენილი, თუმცა მას აქვს ძველი სახელწოდებაც, რომელიც ქართულმა წყარომ შემოგვინახა.

სტრაბონი კავკასიონს შავი და კასპიის ზღვებს შორის არსებულ გასასვლელად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ იგი „ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს [ზღვებს]. [ეს მთა] საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს“. სტრაბონი ასევე დასძენს, რომ ალბანთა და იბერთა ტომებს ძირითადად უპყრიათ „მოხსენიებული ყელი, და რომელთაც კავკასიური ეწოდება“<sup>1</sup>. ასევე, პლინიუსი მას „კავკასიის კარს“ უწოდებს. მისი აღწერით, კლდეებს შორის ბუნებრივი წარმოშობის „გასასვლელი მოზღუდულია რკინისაგან შემოჭედილი მორებით. მათ ქვემოთ შუაში მოედინება მდინარე, ხოლო კარის მხარეს კლდეზე კუმანიის<sup>2</sup> სახელით ცნობილი სიმაგრეა, რომელიც აღმართულია იმ მიზნით, რომ დააბრკოლოს შემოსასვლელთან მოზღვავებული ტომები“<sup>3</sup>. იგი კარს იბერიის ტერიტორიაზე მიიჩნევს და დასძენს, რომ „იბე-

<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 126-127.

<sup>2</sup> ამ სახელწოდების ეტიმოლოგია უცნობია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ შემთხვევაში მას „დარიალის ციხესთან“ აიგივებენ, სხვა შემთხვევაში „ქუმლისციხესთან“ (ყაზბეგის რნ-ი, გუდაურის თემი), რომელიც ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს მთიულეთის არაგვის ნაპირზე: ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 110; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე, თბ., 2013, გვ. 739; სახელწოდება კუმანია სათანადო ახსნას მოითხოვს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აქ რომელიმე მომთაბარე ხალხის ზოგადი სახელიც იგულისხმებოდეს, როგორც არის „სარმატი“, „სკვითი“, „ალანი“ და ა.შ. სტეფანე ბიზანტიელი ასახელებს კომანებს კასპიის ზღვასთან: Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказь, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. I, в. II, СПб., 1896, გვ. 261; „კუმას“ სახელწოდებით არის მდინარე ჩრდილო კავკასიაში, რომელსაც გიულდენშტედტი ჩერქეზეთში უთითებს: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, II, თბ., 1964, გვ. 53.

<sup>3</sup> ლ. არბოლაშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. კავკასიოლოგიური სერია, III, 2006, გვ. 151; Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказь, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. II, в. I, СПб., 1904, გვ. 182; Известия древних греческих и римских писателей о Кавказье, собрал и перевел с подлинников К. Гань. ч. I, Тб., 1884, გვ. 107.

რიაზე გავლით სარმატების მიწისკენ მივყავართ“<sup>1</sup>. პლინიუსი აღნიშნავს, რომ შეცდომით „უნოდებენ კასპიისად<sup>2</sup> იბერიის კარს, რომელიც, როგორც ვთქვით, კავკასიის კარად იწოდება“<sup>3</sup>. სტრაბონი მას ძნელად ასაღებ ციხედ მოიხსენიებს<sup>4</sup>.

ლეონტი მროველი დარიალს „არაგვის კარს“, უწოდებს<sup>5</sup>. ჯუანპერიც მდინარეს, რომელიც გაივლის „დარიალს“ „არაგვად“ მოიხსენიებს: „და მასცა მდინარესა არაგვ ჰქვან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვსა და ოვსეთისა არაგვსა“<sup>6</sup>. ეს მდინარე იგივე თერგია, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც ზოგჯერ „არაგვის“, ზოგჯერ კი „ლომეკის“ სახელწოდებით მოიხსენიებს: „არამედ მდინარესა ჴევისასა ეწოდების არაგვვე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდინარე ძუელადვე. და აწ უწოდებენ თერგსა“, რომელიც „დის ჴევიდამ კავკასთა შინა“<sup>7</sup>. „არაგვისკარს“ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი „დარიალა“-ს ფორმით მოიხსენიებს<sup>8</sup>,

<sup>1</sup> ლ. არბოლაშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“. გვ. 153; Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. გვ. 184.

<sup>2</sup> თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავდა, რომ ანტიკურ წყაროთა მონაცემების მიხედვით, „კასპიის კარი“ ზოგ შემთხვევაში ესმით როგორც „დარიალი“, ზოგ შემთხვევაში კი როგორც „დარუბანდი“: თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 218; მ. ინაძე. კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქართული დიპლომატია, ნელინდელი, 1996, III, გვ. 50. გ. გოზალიშვილი სპეციალური წერილი მიუძღვნა „კასპიის კარს“, სადაც დარიალი იგულისხმება: გ. გოზალიშვილი. კასპიის კარი. ენიშკის მოამბე, 1940, V-VI, გვ. 469-477. ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე იხ.: გ. ჭიჭიშვილი. კასპიის კარები, იბერიის საზღვრები და საერთაშორისო ურთიერთობები მეექვსე საუკუნეში. ანალები, 2014, №№2, გვ. 164-194.

<sup>3</sup> გ. გოზალიშვილი. კასპიის კარი. გვ. 470; Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. გვ. 109.

<sup>4</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 129; Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. I, в. I, СПб., 1893, გვ. 140; Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. გვ. 68.

<sup>5</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 12; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 44.

<sup>6</sup> ჯუანპერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 151.

<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 356, 633.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 15-16; ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ „ხაზარები“ ორი შემოსასვლელით მოემართებოდნენ კავკასიაში - „ზღვისკარ/დარუბანდითა“ და „არაგვისკარ/დარიალთი“: ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 12; იგივე ფაქტთან დაკავში-

მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ კი წოდებულია, როგორც „და:რღა-ლა:“<sup>1</sup>.

ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მდინარეს, რომელიც დარიალის ხეობაში მიემართება, „დარიელო რქვან“<sup>2</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ კავკასიის ორი კარიდან ერთ-ერთი არის „კარი დარიელასი (ესე იგი ხევისა“), რომელიც მოემართებოდა „ლომეკის გზით (ესე იგი თერგის მდინარის გზით“)<sup>3</sup>. ამრიგად, მდინარეს, რომელიც ქმნის დარიალის ხეობას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეწოდება „არაგვი“ და „დარიელო“ და შესაბამისად, ორივე სახელწოდება „არაგვს-კარი“ და „დარიალის კარი“ გასასვლელს ნიშნავს თერგის ანუ დარიალის ხეობაში.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ ასფაგურ მეფემ „განხუნა კარნი დარიელასი და გამოიყვანა ოვსნი და ლეკნი“ და თავს დაესხნენ სპარსელებს<sup>4</sup>. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ იგივე ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ამა ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი“<sup>5</sup>. ეს ის შემთხვევაა, როდესაც „ქართლის ცხოვრებაში“ „დარიალ/დარიალანი“ „კავკასიის კარად“ იწოდება.

ე. ვეიდენბაუმი, ადგილობრივი ხალხური მეტყველების შესაბამისად, დარიალის ვინრობს „ხევის კარის“ სახელწოდებით მოიხსენიებს ანუ ხეობის ჭიშკარი, ამ შემთხვევაში თერგის ანუ დარიალის ხეობის<sup>6</sup>.

ქართული წყაროების მიხედვით, კონკრეტულად მდინარე არაგვის ხეობიდან თერგის ხეობაში გადასვლა ჯვართა ყელიდან ხდებოდა: „გარდავ-

---

რებით ძველი სომხური თარგმანი „დარუბანდის“ გარდა ასახელებს შემდეგს: „იპოვეს ხაზარებმა ერთი სხვა კარი, რომელსა ჰქვია დარიალა“: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გვ. 15-16. თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ რუმინანცევისეული ნუსხისთვის განკუთვნილ ტექსტში აღნიშნულია, რომ ზღვისკარ/დარუბანდის გარდა იყო „მეორე გზა დარიელასი, რომელი გარდამოვლის კავკასიასა არაგვის გზით“: ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგისეული რედაქცია. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 2017, გვ. 273.

<sup>1</sup> შენიშვნებში გასწორებულია, როგორც „დარიელა ანუ დარიალა“: ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 9.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 99; ვეიდენბაუმი აღნიშნავს, რომ „ეს ჭიშკარი იბერიის ტერიტორიაზე იყო, რომელშიც ხმაურით მიედინება დირიოდორისი (Diriodoris)“: Путеводитель по Кавказу, составил Е. Вейденбаум. Тб., 1888, გვ. 265.

<sup>3</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დანყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა. სპბ., 1848, გვ. 70.

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 71.

<sup>5</sup> თურქული მოდგმის ხალხის ზოგადი სახელწოდება: ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 59.

<sup>6</sup> Путеводитель по Кавказу. გვ. 265.

ლეს ჯუართა ყელი და ჩავიდეს დარიელს“<sup>1</sup>. ჯვართა ყელი ჯვრის უღელტეხილია. ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს „ყელს“ ხევის აღწერისას. იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ მხრიდან ხევის მდინარეს ანუ თერგს ერთვის ხევი, რომელსაც „უნოდებენ შთასავალს“<sup>2</sup>. „შთასავალი“ იგივე „შთამართი“, „დამოსავალი“ („დამოსვლა/ჩამოსვლა“) ანუ დაღმართია და უკავშირდება შთასვლა/ჩასვლას<sup>3</sup>. „ჯვრის ანუ ხევისყელის უღელტეხილზე“ (2388 მ) გადიოდა საქართველოს სამხედრო გზა<sup>4</sup>.

ქართული წყაროს მიხედვით, „დარიალ/დარიალანი“ ეს არ არის მხოლოდ ერთი გეოგრაფიული პუნქტის დასახელება, არამედ, როგორც კლდეკარის, ასევე ჩამკეტი ციხის სახელწოდებაა. ვახუშტი ბატონიშვილი თვით ხეობაში სხვა სახელწოდების ციხეებსაც მოიხსენიებს, რომელთაც სამხედრო მზადყოფნის ერთიანი სისტემა უნდა ჰქონოდათ ხეობაში შემოსული მტრის წინააღმდეგ. მიჩნეულია, რომ მომთაბარეთა „შემოსევების შესაჩერებლად თუ მათი მასების გადმოსაყვანად უპირატესობა დავითის ციხესა და დარიალს ენიჭებოდა“<sup>5</sup>.

ვახუშტი ბაგრატიონი „შთასავალის“ ქვემოთ ასახელებს „არშის ციხეს“, მყინვარის კალთაზე, მაღალ კლდეზე კლდითავე მოზღუდვილი და „შეუვალი კაცთა“<sup>6</sup>. ციხესთან მიდგომა მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან შეიძლებოდა, რომლის ვიწრო გასასვლელი კედლით იყო გადაკეტილი და კარი შებმული. ციხე საკმაოდ დიდი ყოფილა და ომიანობის დროს თითქმის მთელი ხევი აფარებდა თავს, ციხე წყლითაც მარაგდებოდა<sup>7</sup>. იგი ჩხატის წყლის ხეობაში მდებარეობს, სადაც არის არშის ჩანჩქერი და ხატის ნიში „თეთრი გიორგის სახელზე“<sup>8</sup>. „ჩხატი“ მოხევეურ, თუშურ და მთიულურ დიალექტებზე ჩანჩქერს, წყალვარდნილს ნიშნავს<sup>9</sup>, რითაც, როგორც ჩანს, ეს ხეობა გამოირჩეოდა.

<sup>1</sup> ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 443.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 356.

<sup>3</sup> ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973, გვ. 502, 126; სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, თბ., 1993, გვ. 300; შდრ. ძველსომხურად *դարիվալ*/*դարիվარ* – „დაღმართი, თავდაღმართი“: ლ. მელიქსეთ-ბეგი, სომხურ-ქართული ლექსიკონი. გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მერაბ რობაქიძემ, თბ., 1996, გვ. 86.

<sup>4</sup> ლ. მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1964, გვ. 176.

<sup>5</sup> გ. ჭეიშვილი. კასპიის კარები, იბერიის საზღვრები და საერთაშორისო ურთიერთობები მეექვსე საუკუნეში. გვ. 186.

<sup>6</sup> ხეხევსურულ, მთიულურ და გუდამაყრულ დიალექტებზე „არშა“ ერქვა თოფს თუთიის ტყვიებით (შდრ. „არშავიანი“): ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ლლონტი, თბ., 1984, გვ. 40; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 357.

<sup>7</sup> პ. ზაქარაია. არაგვისა და თერგის ხეობა, ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი. თბ., 1972, გვ. 49-50.

<sup>8</sup> Арджеванидзе И. Военно-грузинская дорога. Тб., 1954, гв. 224.

<sup>9</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გვ. 668.

ამის შემდეგ ვახუშტისთან აჩხოტისა და თერგის შესართავთან დასახელებულია „ციხე ლუდუშაურისა“, რომელიც „სნოს ციხედ“ არის მიჩნეული. იგი კლდოვან ბორცვზეა აღმართული და ძნელად მისადგომია, იცავდა ლუდუშაურის ხეობას. ციხეს აქვს იარუსები სათოფეებითა და სალოდეებით. არშისა და სნოს ციხეთა გარნიზონები ერთობლივად მოქმედებდნენ, როდესაც საერთო მტერი მოდიოდა<sup>1</sup>. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ამ ხევზე გადადიოდა გზა გუდამაყარზე, ხოლო ჩრდილოეთით ასახელებს სტეფანწმინდას, მის დასავლეთით კი გერგეტს<sup>2</sup>.

შემდეგი გეოგრაფიული პუნქტი, რომელსაც ვახუშტი ასახელებს „გუელეთია“, სადაც თავს აფარებდა მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული დავით დემეტრეს ძე. მონღოლებმა ციხე ვერ აიღეს. ქართულ წყაროთა მონაცემებით, გუელეთის ციხე „დარიელ/დარ[ი]ალის“ ხეობაშია<sup>3</sup>. საილხანოს მონღოლთა გააქტიურებას არაგვისა და დარიალის ხეობაში განაპირობებდა ის, რომ ემინოდათ ეს გზები არ მიეცა დავითს მათ წინააღმდეგ ოქროს ურდოს წარმომადგენლებისთვის. გუელეთის ციხე ორ მაღალ კლდეზე და „ამ კლდეების დამაკავშრებელ ვიწრო ყელზე“ არის აშენებული<sup>4</sup>. თერგს სოფელ გველეთთან უერთდება ხდის წყალი და შემდეგ ჩაედინება დარიალის მასიური გრანიტის ლოდებით სავსე კლდეკარში<sup>5</sup>. დარიალის ციხე გველეთის ციხიდან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ეს უკანასკნელი დარიალთან ერთად წარმოადგენდა კავკასიის მთავარი გზის „დამცველსა და მაკონტროლებელ სიმაგრეს“<sup>6</sup>. ხდის წყალი (Кистинка) უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც ვახუშტი წერს, რომ „ამ გუელეთს ქუევით ერთვის არაგუსვე (თერგი – ქ.ქ.). ჴევი... გამოსდის გუდამაყარისა და ძურძუკის კავკასსა... გარდავალს ამ ჴევიდამ გზა ძურძუკსა და ქისტეთს, ძნელი, საჭირო“<sup>7</sup>.

„ძეგლის დების“ ცნობებზე დაყრდნობით, სადაც აღნიშნულია: „მივედით დარიელამდის“, „დარიელით მობრუნვებულთა ვილოცეთ ლომისის

<sup>1</sup> პ. ზაქარაია. არაგვისა და თერგის ხეობა. გვ. 50; Арджеванидзе И. Военно-грузинская дорога. გვ. 225.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 357.

<sup>3</sup> დარიალის ხეობის დასაწყისად მდ. ჩხერის შესართავი მიიჩნევა, ხოლო ბოლოდ ლარსის გამშვები პუნქტი ითვლება და კლდეკარის მთლიანი სიგრძე 11 კილომეტრია, სადაც თერგს მნიშვნელოვანი ვარდნა აქვს და მის ყველაზე ვიწრო ნაწილში (ხდის წყლის ნაწილში) 1350 მ-მდე, ხოლო საქართველოს ჩრდილო საზღვართან 1200 მ-მდე ვარდება: ლ. მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. გვ. 199-200; უამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 305; ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 409; ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 443; ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ., 1978, გვ. 105.

<sup>4</sup> დ. მინდორაშვილი. არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბ., 2005, გვ. 19.

<sup>5</sup> ლ. მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. გვ. 200-201.

<sup>6</sup> დ. მინდორაშვილი. არქეოლოგიური გათხრები ხევში. გვ. 19-20.

<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 358.

მთავარმონაშის წინაშე<sup>1</sup>, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „ძეგლის დადების მოქმედების ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად უნდა დარიალანი მივიჩნიოთ“<sup>2</sup>, რაც ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ საზღვრის გამყოფი ხაზი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გაღმა ჩრდილოეთ ფერდობზე მიემართებოდა, რომელსაც დარიალის კარ-გასასვლელი კეტავდა.

„მეფეთა ცხოვრება“ ადრეულ პერიოდში კავკასიონის გადასასვლელებზე „კარის შებმას“ დურძუკების<sup>3</sup> და არა „ალანების“/„ოსების“ წინააღმდეგ გალაშქრებას უკავშირებს. ქართლის მეფე მირვანის დროს კავკასიონიდან გადმოსულმა დურძუკებმა, მანამდე საურმაგ მეფის მიერ ქართლის ხევში გადმოსახლებულ დურძუკებთან ერთად, მოაოხრეს კახეთი და ბაზალეთი<sup>4</sup>. მირვანმა გაერთიანებული ჯარით გაილაშქრა დურძუკეთზე. „შეკრბეს დურძუკნი და დაუდგეს სიმაგრეთა ზედა გარდასავალთა გზასა მას“. მირვანი „მოვიდა კართა მათ შინა“. ძლიერი ბრძოლის შემდეგ მან ქართალიც და დურძუკეთიც დაიმორჩილა. შემდეგ, „შეაბნა კარნი ქვტკირითა, და უნოდა სახელად დარუბალ“<sup>5</sup>, რომელიც მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში მოიხსენიება, როგორც „და: რუბალდა“<sup>6</sup>, ხოლო c ნუსხაში – „დარულა“<sup>7</sup>. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანის მიხედვით კი მირვანმა „აილო დურძუკ[ეთ]ი, ქართალი და კარი ქვტკირისა, რომელიც იქ იყო – „დარბალა“<sup>8</sup>. ს. მაკალათიაც აღნიშნავდა, რომ დარიალის

<sup>1</sup> ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა. ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუს. თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1988, გვ. 35-36.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ნიგნი პირველი, თხზულებანი თორმეტ ტომად, VI, თბ., 1982, გვ. 99.

<sup>3</sup> „დურძუკები“ კავკასიაში მცხოვრები ვაინახი ხალხის წინაპართა სახელწოდებაა. „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება აგრეთვე „მურძუკისა“ და „ურძუკის“ ფორმა.

<sup>4</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 28.

<sup>5</sup> იქვე; ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. გვ. 20; ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბ., 1996, გვ. 58; ქართლის ცხოვრება. მარი ბროსეს რედაქციით, სპბ., 1849, გვ. 34.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. გვ. 24.

<sup>7</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 28.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გვ. 39; თეიმურზ ბაგრატიონი „დარუბალ“-ში „დარუბანდს“ გულისხმობს, როგორც მიიჩნევა მ. ბროსე: თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, გვ. 120; Оздоев И. А. Русско-ингушский словарь. М., 1980, გვ. 269; მაგრამ აშკარაა, რომ მირვანის მიერ ჩატარებული სამხედრო ექსპანსია დარუბანდის კართან არ მომხდარა. თუ გავითვალისწინებთ მზ. ანდრონიკაშვილის განმარტებას „დარ-უ-ბანდ“-თან დაკავშირებით, სადაც უ მკვლევარს ფალაურ „და“ კავშირად მიაჩნია, როდესაც სიტყვას თარგმნის, როგორც „კარი და სიმაგრე“: მ. ანდრონიკაშვილი. ირანული სატომო ადგილის სახელები ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, 1954, I, გვ. 23; შესაძლოა ანალოგიურ გააზრებასთან გვექონდეს საქმე, რასაც ადასტურებს მირვანის მიერ „შეაბნა კარნი ქვტკირითა“ და „ქმნა სიმაგრე“: ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 28; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 358.

ციხე აკავებდა ხდეს გადაღმა მცხოვრებთ, რომლებიც ხევის დასარბევად გადმოდიოდნენ ხოლმე<sup>1</sup>. გამოდის, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „კარების შებმა“ ანუ გასასვლელის გამაგრება პირველად დურძუკი ანუ ვაინახური მოსახლეობის შესაკავებლად მოხდა, რასაც ადასტურებს ვახუშტის ზემოაღნიშნული ცნობა დურძუკეთსა და ქისტეთში ძნელად გადასასვლელი და საჭირო გზის შესახებ. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ კავკასიონი არის წყალგამყოფი გუდამაყრის, ხევისა და „ძურძუკ-ქისტეთის“<sup>2</sup>. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, აქ მოხსენიებული სიმაგრისა და კარის სახელწოდებები არ უნდა უკავშირდებოდეს ალანთა სახელს.

ჩრდილო კავკასიისკენ მიმავალი გზისა და კარ-გასასვლელის ალანებთან, ანუ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ოსებთან დაკავშირება უფრო გვიან უნდა მომხდარიყო. აღნიშნულს ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის, არამარტო გვმინდელი ჩანართები, არამედ ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობაც, რომლის მიხედვით, დარიალის ხეობაში, დავითის ციხის ქვემოთ, რომელსაც იგი დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს, „არს დარიელა<sup>3</sup> არაგვს (თერგი – ქ.ქ.) აღმოსავლით, კიდესა ზედა, გ\* მეფის მირვანის მიერ. შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვს, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ [და არს სახელი ესე მომრევი“]. მის ქვემოთ მეფეთა ნასასახლევიც ყოფილა, როგორც პლაცდარმი, „ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“<sup>4</sup>. დავითის ციხე, დარიალის გასასვლელი და მეფეთა ნასასახლევი მიუთითებს, რომ ყველა ესენი ქართლის სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა, როგორც უკიდურესი ჩრდილოეთი პუნქტის დამცავი საფორტიფიკაციო ნაგებობები. ამრიგად, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, მირვანის სამხედრო ექსპედიცია დურძუკეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაშინ როდესაც, ვახუშტი ბატონიშვილი იგივე ფაქტთან დაკავშირებით „ოსებსა“ და „ხაზარებს“ ასახელებს.

მკვლევართა აღწერილობით, დარიალის ციხე ბუნებრივ კლდეზეა აშენებული მდ. თერგისა და ხდეს შესართავის პირისპირ. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან იგი საღ კლდეს წარმოადგენდა, ამჟამად დაცულია დასავლეთი კოშკი. ციხის ქვითკირის კედლებში სათოფურები ყოფილა გამოჭრილი, გალავანი 3 საყარაულო კოშკით არის გამაგრებული. ციხეს სამი მხრიდან თერგი უვლის, დასავლეთიდან კი მაღალი კლდის კედელი. გალავნის კედ-

<sup>1</sup> ს. მაკალათია. ხევი. თბ., 1934, გვ. 13.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 354, 358.

<sup>3</sup> ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით, წყაროს არშიაზე მინერილია განმარტება: „ამას უწოდებენ ევროპელნი კავკასიის კარად და მეორეს (მეორედ) ლეკეთის კავკასიის გზასა“, რომელშიც „დარუბანდის გზა“ იგულისხმება: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 358.

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იქვე.

ლები დულაბითაა აშენებული და მისი სისქე ერთ ან ორ მეტრს აღწევს. სამხრეთი კედლიდან გაჭრილია გასასვლელი, რომელიც ადრე ამოშენებული გვირაბი ყოფილა. ის მიემართება მდ. თერგისკენ, საიდანაც წყალი ამოჰქონდათ<sup>1</sup>. ლ. წითლანაძის განმარტებით, გზა გადიოდა კლდოვან ქარაფზე და მიყვებოდა თერგის მარცხენა ნაპირს. „ის შემოდის ციხესა და ქარფს შორის დარჩენილ ვიწრო კარში, რომელიც თავის მხრივ კედლით ყოფილა გადაკეტილი“<sup>2</sup>. არქეოლოგთა აღწერილობით, ჩრდილო კარიბჭე უნდა ყოფილიყო ჩრდილო-დასავლეთ ფერდობის ძირას არსებული ვიწრო გასასვლელი (ყელი), რომელიც V ს-ის II ნახევრის 2-6 მ-ის კედლით ყოფილა გამაგრებული, უფრო ძველ და დიდ კედელზე (სისქე-6, სიმაღლე-5) დაშენებული. „დარიალის ციხეზე ასეთი მძლავრი კედლის აღმოჩენის ფაქტი კიდევ უფრო დადასტურება იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ჩრდილოეთიდან მოწოლილი მომთაბარე ურდოების შეკავების საქმეში“. დ. მინდორაშვილი მიიჩნევს, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ციხის მშენებლობა ცარიელ ადგილას კი არ უნარმოებიათ, „არამედ უკვე არსებული ციხე გაუმაგრებიათ“<sup>3</sup>. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია, რომ ციხეში არსებობდა წყლის მიწოდების სიტემაც, რომელსაც თიხის მილებით უზრუნველყოფდნენ<sup>4</sup>. ხევის ტოპონიმიში გვხვდება „ძველ დარიალა“, რომელიც ე.წ. „თამარის ციხის“<sup>5</sup> მიმდებარე ტერიტორიას ეწოდება. ვ. ითონიშვილი ფიქრობს, რომ რუსთა ბატონობის პერიოდში ახალი საკომუნიკაციო მშენებლობის დროს „თამარის ციხის“ მიდამოებს ეწოდა „ძველი“<sup>6</sup>.

ვახუშტი ბაგრატიონი ზემოაღნიშნულ „დარუბალს“ განმარტავს, როგორც „მომრევი“, რომელიც უკავშირდება მრეს, მძლეს მნიშვნელობით – „მრე ვეყავ მას/მძლე ვეყო მას“<sup>7</sup>. „მომრევი“ მომდინარეობს „რევა“-სგან,

<sup>1</sup> ს. მაკალათია. ხევი. გვ. 11-112; პ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. თბ. 1988, გვ. 51-53.

<sup>2</sup> ლ. წითლანაძე. დარიალის ციხე (არქეოლოგიური კვლევა). ძველის მეგობარი, 1971, №№ 27-28, გვ. 62; პ. ზაქარაია. არაგვისა და თერგის ხეობა. გვ. 56.

<sup>3</sup> დ. მინდორაშვილი. დარიალის ციხე. თბ., 1991, გვ. 3.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 4; ლ. წითლანაძე. დარიალის ციხე (არქეოლოგიური კვლევა). გვ. 62.

<sup>5</sup> ს. მაკალათია შენიშნავს, რომ „ეს სახელწოდება ლეგენდარულია და მას არავითარი კავშირი არ აქვს XII საუკუნის თამარ მეფის პიროვნებასთან. დარიალის ციხე თამარის სახელით ქართულ საისტორიო მწერლობაში არსად იხსენიება“. მკვლევარი მას მ. ლერმონტოვს უკავშირებს, რომელმაც თავის პოემაში „დემონი“ გამოიყენა სილამაზით განთქმული ქალის თამარის სახელი. პოეტმა იგი დაუკავშირა დარიალის ხეობასა და მის ციხეს და ასე იცნობენ რუსულ მწერლობაშიც: ს. მაკალათია. ხევი. გვ. 38-39; პ. ზაქარაია. დარიალის ციხე (გზამკვლევი). თბ., 1957; პ. ზაქარაია. არაგვისა და თერგის ხეობა, გვ. 56; პოეტი ციხეს „Дарьял“-ს უწოდებს: Лермонтов М.Ю. Собрание сочинений в четырех томах. I, М., 1969, გვ. 292; Лермонтов М.Ю. Собрание сочинений в четырех томах. II, М., 1969, გვ. 414.

<sup>6</sup> ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმი. თბ., 1971, გვ. 145.

<sup>7</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, თბ., 1991, გვ. 518; ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გვ. 294.

რაც ძლევას, მეტობას ნიშნავს<sup>1</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონი „დარიას“ განმარტავს, როგორც, „მძლე ექმნა, მოერივა“<sup>2</sup>. კავკასიონის გადასასვლელებს სპეციალური სამხედრო მომზადების, განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეული, მესაზღვრეები იცავდნენ, რომ ადვილად შეეკავებინათ მტერი; შესაძლებელია, ისინი ადგილობრივი მთიელებიც ყოფილიყვნენ, რომელთაც ზედმინევით ეცოდინებოდათ დარიალის ურთულესი ხეობის კუთხე-კუნჭული. აღნიშნულს ადასტურებს „მოქცევაი ქართლისაი“. მეფობის გაუქმების შემდეგ, სპარსელებს კავკასიის გადასასვლელები გაუმაგრებიათ<sup>3</sup>, მათ შორის ოსეთისკენ მიმავალიც: „და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალებს და ერთი პარჭუანს დურძუკეთისასა<sup>4</sup>, და იგი მთიულნი გომარდად<sup>5</sup> დაადგინეს“<sup>6</sup>. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ჯომარდი“ (შდრ. გომარდი) უცხო სიტყვაა და მას ქველი, ცქვიტი და მხნე შეესატყვისება<sup>7</sup>. ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში ეს სიტყვა სპარსულად არის მიჩნეული და განმარტებულია გმირის, ვაჟკაცის, რაინდის მნიშვნელობით<sup>8</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისიდან პეტერბურგამდე მოგზაურობის აღწერის დროს, ერთ-ერთ წერილში მარი ბროსეს სწერდა, რომ „გამოვლეთ ვინრო გზანი ბახტირაღ<sup>9</sup> ნოდებულნი და კარი დარიელასი და მოვე-

<sup>1</sup> ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გვ. 346.

<sup>2</sup> შდრ. „დარაკა“ – ფარი: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 197; თეიმურაზ ბაგრატიონი. წიგნი ლექსიკონი. მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბ., 1979, გვ. 44-45; ასევე განმარტავს ნ. ჩუბინაშვილი: „დარაკ-დარაკი ფარი, დარაკიანი ფაროსანი, ფარით ჭურვილი“: ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი 1812-1825 წწ. თანამედროვე ვერსიის გამოცემა თამაზ მჭედლიძის, თბ., 2010, გვ. 50.

<sup>3</sup> აქვე აღნიშნულია, რომ სპარსელებმა აგრეთვე, „ხაზარეთისა კარნი შექმნეს“, სადაც დაურუბანდის კარიბჭე იგულისხმება: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (V-X სს.), დასაბუჯდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 95.

<sup>4</sup> აღნიშნულ გადასასვლელებზე უფრო დაწვრილებით სხვა ნაშრომში ვისაუბრებთ.

<sup>5</sup> მზ. ანდრონიკაშვილი გომარდს უკავშირებს საშუალო სპარსულ gumatak-ს, რომელიც ნიშნავს: „სანდო, სანაცლო, შემცვლელი, დანიშნული, წარმომადგენელი, ნაცვალი: მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, თბ., 1966, გვ. 187, 195, 199, 207, 210, 310.

<sup>6</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 94-95.

<sup>7</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 460.

<sup>8</sup> ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. თბ., 2008, გვ. 452.

<sup>9</sup> შდრ. ბახტიად/Baxtyad/Baxtyar ირანული საკუთარი სახელი, რომელიც მზ. ანდრონიკაშვილის თქმით მომდინარეობს Baxtdar-იდან - „ბედის მქონე, ბედნიერი“ (შდრ. Baxta-data – „ბედის მოცემული, ბედის წყალობა“ - baxta - „ბედი“ + data - „მოცემული“) (შდრ. სპარსულ-არაბული Baxtyar და სომხ. Բախთար): მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, გვ. 183-184, 194, 198, 449; ალ. გვახარია. სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები. ბახთიარნამე. თბ., 1968, გვ. 21.

დით ლარსა“<sup>1</sup>. ს. მაკალათია ბახტრის კლდეზე აშენებულ „ბახტრის კომპლექს“, ზედ სამხედრო გზაზე უთითებს, რომელიც დარიალის ციხის საფარი კომპი ყოფილა, შემდეგ კი სალოცავად გამოუყენებიათ და „ბახტრის წმ. გიორგის“ უწოდებდნენ<sup>2</sup>. ვ. ითონიშვილი ფიქრობს, რომ ვახუშტის „ბახტარი“ უნდა ეგულისხმა, როდესაც საუბრობს მირდატ მეფის მიერ კარის შებმაზე („და არს სახელი ესე მომრევი“)<sup>3</sup>.

მოხევური ლექსიკით დარიალის ხეობის ქვედა წელს „ბახტარი“ ეწოდება: „ბახტრის წმინდა გიორგის ვეძახოდით, დარიალის ბოლოზეა, ჯელმარცხნივ“<sup>4</sup>. ვ. ითონიშვილის განმარტებით, „მოხვევები ბახტრის ტერიტორიას აქცევენ დარიალის ხიდიდან სავარის წყლამდე“<sup>5</sup>. კერძოდ, „ბახტარი“ ეწოდებოდა იმ ტერიტორიას, სადაც ვახუშტი დარიალის ქვემოთ ოსეთისკენ სალაშქროდ მიმავალ „მეფეთა ნასასახლევს“ უთითებს<sup>6</sup>. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მთხრობელთა გადმოცემით, აქ დაახლ. 10 კმ-ის მანძილზე ნეიტრალური ზონა ყოფილა საქართველო-ოსეთის საზღვარზე<sup>7</sup>. მოხვევთა გადმოცემით, საზღვარზე აღმართულ ქართულ სამეფო დროშას „ბაირახტარი“ რქმევია, რომლის შემოკლებული ფორმაა „ბახტარი/ბახტრი“<sup>8</sup>. „ბახტრის წმინდა გივარგის“ ფუნქციიდან გამომდინარე, ვ. ითონიშვილს მიაჩნდა, რომ ბახტარი ქართველ მესაზღვრეთა სამხედრო დანიშნულების სადარაჯო პუნქტი იყო. „იგი ითვლებოდა ლაშქრის მფარველ ღვთაებად, როგორც ფშავში ლაშარის-ჯვარი. ასეთი ფუნქციის მქონე ღვთაებისათვის ხალხს იქ მიუჩენია ადგილი, რომელიც საყურადღებო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა და სადაც მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები ტარდებოდა“<sup>9</sup>.

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი. წიგნი ლექსიკონი. გვ. 94.

<sup>2</sup> ს. მაკალათია. ხევი. გვ. 113; Арджеванидзе И. Военно-грузинская дорога. გვ. 233.

<sup>3</sup> ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმი. გვ. 146.

<sup>4</sup> ნ. სუჯაშვილი, ი. ფიცხელაური. მოხევური ლექსიკონი. თბ., 2005, გვ. 41.

<sup>5</sup> თვით „სავარის წყალი“ „საზღვრის წყლის“ დამახინჯებულ ფორმად მიაჩნია, სადაც (სანიბის ხევთან, დღევანდელი ჩიმის ახლოს) გადიოდა საქართველო-ოსეთის საზღვარი: ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმი. გვ. 147.

<sup>6</sup> ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმი. გვ. 146.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>8</sup> შდრ. „ბაირახტარი“ (ბაირალდარ) – „მეზაირალე, მედროშე, დროშის, ბაირალის მტარებელი“. თუმცა, შესაძლოა ამ სიტყვას უკავშირდებოდეს ასევე, „ბაქთარი/ბექთარი“ - ტანთსაჭურველი, ჯაჭვის პერანგი და სხვა მისთანანი ბრძოლის დროს: შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დ. კობიძემ, თბ., 1974, გვ. 624-625.

<sup>9</sup> ხევის სალოცავებში და მოხევურ დალოცვაში მოიხსენიება ბახტრის წმინდა გიორგიც, როგორც „მგზავრთა მფარველი“. გაზეთ Кавказ-ში ნ. ბოგომოლოვის სტატიაში აღნიშნულია, რომ „დარიალის ან დარიალანის ხეობა, რომელიც ჯვრის უღელტეხილიდან ან კობიდან იწყება და ვლადიკავკაზამდე მიემართება, ოსების მიერ „არვი-კომად“ (небесное ущелье) არის წოდებული, ხოლო სპარულად „გმირთა ქიშკარს“ ნიშნავს: Кавказ, 1850, № 11, გვ. 11. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვ. აბაევს „ალანი“ მიაჩნია, რო-

აქ ხდებოდა ჩრდილოეთიდან მომხდურ მტერთან შეტაკება. ამავე დროს, მათი შემოტევის თავიდან აცილების მიზნით, ქართლის მეფეებსაც უწევდათ შეტევის განხორციელება ჩრდილოეთის მიმართულებით, რასაც ყოველგვარ თან ახლდა ორთაბრძოლები მოწინააღმდეგე ფალავნებს შორის. ამ მხრივ, საინტერესოა ჯუანშერის ცნობა ვახტანგ გორგასლის ოსეთში ლაშქრობის შესახებ, როდესაც მეფემ „განვლო კარი დარიალანისა“ და ისე შევიდა ოსეთში („ველსა ოვსეთისასა“). ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ მეფემ „განვლო დარიალ“<sup>1</sup>, ასევე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც აღნიშნავს: „გაემართა და გაიარა დარიალას<sup>2</sup> კარი, შევიდა ოსეთის ველს“<sup>3</sup>. მაგრამ სანამ ოსეთში შევიდოდა, მეფეს თერგის ანუ დარიალის ხეობის ქარაფოვან და კლდოვან ნაპირებზე მომხდურ ოსებთან და მათ დასახმარებლად წამოსულ „ხაზარებთან“ მოუწია შეტაკებები – „და განეკრძალეს ერთმანეთისაგან, და დაიცვნეს გზანი ქარაფთან“. შვიდი დღის განმავლობაში „ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა“<sup>4</sup>. ვახტანგმა მოკლა ფალავნები – „ხაზარი“ თარხანი და ოსი ბაყათარი, რომლებიც გოლიათად და გმირებად არიან მოხსენებული<sup>5</sup>. დარიალის კლდეკარი მეფემ თავად დაიკავა და იქედან საბრძოლო მოქმედებები ოსთა არეალში გადაიტანა. მეფემ გაათავისუფლა თავის და, რომელიც „დარიალის გზით“<sup>6</sup> გამოისტუმრა ქართლში. ამ ფაქტთან დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ჩანართის<sup>7</sup> მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი

გორც „ყოჩალი“, „გმირი“: Абаев В. И. Историко-этимологический словарь осетинского языка. I, М-Л., 1958, გვ. 45; მაშინ შესაძლოა ამ სახელწოდებასთან რამე კავშირი იყოს. იბნ რუსტე აღნიშნავს, რომ ალანთა მეფე იწოდება, როგორც „багаирь“: СМОМПК. 1903, в. 32, გვ. 51; მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, თანამედროვე ოსურში багатур-იდან (მამაცი, გმირი, გოლიათი) მომდინარეობს ხევსურული „ბალათერა და „ბათირა“: მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, გვ. 135. ისიც არ არის გამორიცხული, რომ დევდარაკის მიერ ჩამოტანილი უზარმაზარი გრანიტის ლოდები დარიალის ხეობაში ძველ დროს ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ მისთვის „გმირთა“ ან „დევემირთა ჭიშკარიც“ ეწოდებინათ „გმირთნაკვეთისა“ და „დევის ნამუხლარის“ მსგავსად. აღნიშნულს ნაადგება ხევის ტოპონიმიში შემორჩენილი „დიდზოვისა“ და „დიდლორდის“ სახელწოდებები დარიალის ხეობაში: ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმი. გვ. 146.

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 102.

<sup>2</sup> შდრ. ნუსხებში „დარალია“: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გვ. 147.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გვ. 147.

<sup>4</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. გვ. 151.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 152-153.

<sup>6</sup> ამ შემთხვევაში ჯუანშერი და „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ასახელებენ „დარიალ/დარიალას“: ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. გვ. 157; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გვ. 151.

<sup>7</sup> მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ და ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ნუსხებიდან.

ოვსეთისანი, რომელსა ჩუენ დარიანისად უნოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მალალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი<sup>1</sup>. არა ჴელენიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა<sup>2</sup>. ჩანართის გვიანდელობას ამ-ტკიცებს ტექსტში თურქული მოდგმის „ყივჩალის“ მოხსენიება, რომელიც ვახტანგ გორგასლის დროს ვერ იქნებოდა. „კარნი ოვსეთისანი“ მიუთითებს, რომ დარიალის ხეობით ხდებოდა ოსთა შემოსვლა ქართლის სამეფოში, ასევე ამ გზით იყო შესაძლებელი გადასვლა ოსებით დასახლებულ მინებზე. არსადაა მითითებული, რომ დარიალის ხეობა და კარი („არაგვის კარი“), ამ შემხთხვევაში „დარიანისად“ ნოდებულნი, ოსების ტერიტორიაზე მდებარეობდა. აღნიშნული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ სანამ ვახტანგ გორგასალი გაამაგრებდა ოსებისკენ მიმავალ (უკვე არსებულს) გასასვლელებს, მას უკვე ერქვა „არაგვის“ და „დარიალის“ კარი.

იოანე საბანის ძის „აბო ტფილელის წამებაშიც“ აღნიშნულია, რომ ხაზარეთში მიმავალმა ნერსე ერისთავმა „განვლო მან კარი იგი ოვსეთისად, რომელსა დარიალან ერქმის“<sup>3</sup>. მ. საბინინის მიერ გამოცემულ ტექსტში კი მოცემულია: „რომელსა დარიელ ერქუმის“<sup>4</sup>. მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ „აბო ტფილელის წამება“ IX-X სს-თა ნუსხებით არის წარმოდგენილი<sup>5</sup>. ნუსხებში შემორჩენილია ასევე „დარიალ“, „დარილან“, „დარიან“ ფორმები, რომლებსაც კ. კეკელიძე ვარიანტებად მოიხსენიებდა და დარილანთან შედარებით, მექანიკურ შეცდომად მიაჩნდა<sup>6</sup>. „მოქცევაი ქართლისაის“ ტექსტში კი, რომლის ნუსხა იმავე პერიოდითაა დათარიღებული (შატბერდის კრებული – X ს.), „კარნი ოვსეთისანი“, რომლებიც სპასრსელებმა გაამაგრეს, არ არის მოხსენიებული „დარიალ/დარილანად“<sup>7</sup>.

ლოგიკურად, „შექმნა კარნი ოვსეთისანი“, „განვლო კარი იგი ოვსეთისანი“ ნიშნავს, რომ ოსეთისკენ მიმავალი კავკასიის გადასასვლელები გაამაგრდა და მოხდა ოსთა მიმართულებით არსებული გასასვლელის გავლა,

<sup>1</sup> „მახლობელნი მთეულნი“-ში ს. მაკალათია მოხევეებს გულისხმობდა: ს. მაკალათია. ხევი. გვ. 38.

<sup>2</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. გვ. 156.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ტფ., 1935, გვ. 64; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 61; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 58.

<sup>4</sup> საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა და ლუანთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა. შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ. პეტერბურლი, 1882, გვ. 339.

<sup>5</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 6.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. გვ. 12, 13, 86.

<sup>7</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 94.

როგორც ქართლის სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრის უკიდურესი სათვალთავლო გამშვები პუნქტისა<sup>1</sup>.

ამ გზით ყივჩაღების შემოყვანას მართლაც ჰქონდა ადგილი დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც მეფემ „აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოსეთისათა და კავკასიის მთისათანი და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაღთათჳს“<sup>2</sup>. ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ მეფემ დაიკავა „კარი დარეილისა“<sup>3</sup>. დავით აღმაშენებელს ამ საქმისთვის მოუწია არამარტო დარიალის ხეობის, არამედ, ოსეთისკენ და ჩრდილო კავკასიისკენ მიმავალი ყველა კარ-გასასვლელის სტრატეგიული ციხეების აღება და გამაგრება<sup>4</sup>.

დარიალის „დარი+ალანად“ (სპარს. არი ლლან/ალანთა კარი) ანუ „ოვსთა კარად“<sup>5</sup> გააზრება შედარებით გვიან პერიოდში უნდა მომხდარიყო. ვ. გოილაძე „დარიალს“, როგორც „ალანთა კარის“ სახელდებას, სასანიანთა პერიოდს უკავშირებს, რომელიც „სარმატულ სამყაროში ალანთა გამოჩენასა და მათ დანინაურებას მოჰყვა“<sup>6</sup>. მას ეთნიკური სახელი „ალანი“ ზოგა-

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში მრავალი ფაქტია, რომელიც ადასტურებს, რომ დარიალ/დარიალანი დროის სხვადასხვა მონაკვეთში აღმ. საქართველოს (ქართლის) მეფეთა ხელშია. მაგ., ჟამთააღმწერლის ცნობით, დავით ლაშას ძეს ოქროს ურდოს ყაენი სთხოვდა „გზასა დარეილასა“, საილხანოშიც ეშინოდათ, რომ მეფეს არ მიეცა „გზა დარიალანისა“: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 220; ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 245; გიორგი VII თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლის დროს „გამოიყვანა დარეილიდამ ოვსნი დიდძალი და კავკასნი“: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 269.

<sup>2</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 336.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 159.

<sup>4</sup> ამ ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ნ. ბერძენიშვილი: „დავითის ეს საქმიანობა - დარიალის კარების ხელში აღება - იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მონოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის ხალხებზე“: ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966, გვ. 56. ს. მაკალათია არ გამორიცხავს, რომ დარიალის ხეობით შემოყვანილი ყივჩაღების ნაწილი მეფეს ხევეიც დაესახლებინა, შესაძლოა ჩრდილოეთის საზღვრის დაცვის მიზნით: ს. მაკალათია. ხევი. გვ. 40.

<sup>5</sup> მზია ანდრონიკაშვილს „აბო ტფილელის წამებაში“ მოხსენიებული „კარი იგი ოვსეთისაი“ მიაჩნია „დარიალანის“ გლოსად: მ. ანდრონიკაშვილი. ირანული სატომო ადგილის სახელები ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში. გვ. 20-21; მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, გვ. 49.

<sup>6</sup> ვ. გოილაძე. ოსთა წინაპრები ძ.წ. VII-ახ.წ. XV საუკუნეებში. თბ., 2018, გვ. 78; ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი მეცნიერის მიერ მიღებულია, რომ „ალანთა კარი“ (გასასვლელი) მოიხსენიება ე.წ. „ზოროასტრის ქაბასს“ შაჰურის წარწერაში. თუმცა, როგორც, სამართლიანად შენიშნავდა თ. ყაუხჩიშვილი, „წარწერის ერთი ადგილი (I<sup>nn</sup>

დი მნიშვნელობის სახელად მიაჩნია, ისევე როგორც „სკვითი“ და „სარმატი“<sup>1</sup>. „ალანთა კარის“ მნიშვნელობით გააზრებას გვიანდელად მიიჩნევს ჯ. გვასალია, რომელიც კავკასიის გასასვლელის უძველეს სახელწოდებად „არაგვის კარს“ თვლის<sup>2</sup>. მზ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავდა, რომ სპარსული წარმოშობის ისეთი სახელები, როგორიცაა „დარიალანი, დარუბანდი, ადარბადაგანი“ და სხვ. „თავისი ფორმის მიხედვით გვაფიქრებინებენ, რომ ისინი სასანიდების ეპოქაშივე შემოვიდნენ“<sup>3</sup>. მკვლევარს ქართულ წყაროებში მოხსენიებული დარიალ/დარიალანის ფორმებიდან მოჰყავს „დარი-ალან, დარალანი, დარიალა, დარიელო, დარიელი, დარიალამი“ ფორმები. იგი მიიჩნევს, რომ ამ ფორმათაგან ამოსავალია „დარი ალან და ქართული ხალხურია დარიელი. დარიალანის სხვა ფორმები გადამწერის დამახინჯების შედეგი უნდა იყოს“<sup>4</sup>.

სპარსულ „დარი-ალანს“ შეესაბამება არაბული „ბაბ-ალ-ლან“, რომელიც გააზრებულია, როგორც „ალანთა ციხე“. იბნ რუსტეს ცნობით, ალანთა სამეფოდან 10 დღის სავალზე მდინარის ხეობის გავლის შემდეგ მიაღწევდნენ მთების მწვერვალზე მდებარე, მთებითვე გარშემოზღუდულ ციხეს, რომლის ქვემოთ გზა მიემართებოდა. ამ სიმაგრის კედელს, მისი მკვიდრნი, 1000 კაცი იცავდა დღე-ღამის განმავლობაში<sup>5</sup>. მასუდის ცნობით, „ალანთა ციხე“, ალანთა სამეფოსა და კავკასიონის ქედს შორის არის, გადმოკიდებული ხიდთან ერთად უზარმაზარ მდინარეზე. მასუდი ხასგას-მით აღნიშნავს, რომ იქ მყოფ ჯარს ევალებოდა დაეცვა კავკასიონიდან მომავალი გზა ალანებისგან. ციხე ბატონობდა ამ გზაზე. ციხე აშენებული იყო კლდეზე და არანაირი საშუალება იყო აეღოთ იგი. შეუძლებელი იყო ასევე იქ მყოფთა თანხმობის გარეშე გზაზე გატარება<sup>6</sup>. იაკუთი „ბაბ

TR’) მკვლევართა შორის საკამათო აღმოჩნდა: ზოგის აზრით ის ნიშნავდა „ალანთა კარს“, ზოგის აზრით - „არანთა“ ანუ „ალბანთა კარს“ - ე.ი. ერთ შემთხვევაში დარი-ალს, მეორე შემთხვევაში დერბენდს“: თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 260. ამ საკითხთან დაკავშირების უფრო დაწვრილებით იხ.: გ. წერეთელი. შაპურის წარწერის 'I'nn TR'. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს. საიუბილეო კრებული მიძღვნილი გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1969, გვ. 327-329; Луконин В. Г. Древний и раннесредневековый Иран. М., 1987, გვ. 220; Фрай Р. Наследие Ирана. М., 2002, გვ. 291. „ალბანთა კარს“ მიიჩნევს ვ. გოილაძე.

<sup>1</sup> ვ. გოილაძე. ოსთა წინაპრები ძ.წ. VII-ახ.წ. XV საუკუნეებში. გვ. 61.

<sup>2</sup> ჯ. გვასალია. არაგვის კარი (დარიალანი). ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. 1976, გვ. 144; ჯ. გვასალია. საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, №2, გვ. 30.

<sup>3</sup> მ. ანდრონიკაშვილი. ირანული სატომო ადგილის სახელები ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში. გვ. 41.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 20-21.

<sup>5</sup> СМОНПК. 1903, в. 32, გვ. 51.

<sup>6</sup> СМОНПК. 1908, в. 38, გვ. 53.

ალ-ლანს“ მოიხსენიებს, როგორც „სამყაროს საკვირველებათაგანი“<sup>1</sup>. არაბული წყაროს მონაცემები სავსებით შეესაბამება ანტიკური ხანის ზემო-აღნიშნულ მწერალთა ცნობებს, რომელიც დარიალანს „კავკასიის კარად“ მოიხსენიებენ. არაბი დამპყრობლები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ ამ გასასვლელს. „კარი დარიელისა“ დაიპყრა მურვან ყრუმ, ბულა თურქმა „დარიალანით“ გადმოიყვანა ოსები და დაასახლა დმანისს<sup>2</sup>.

მოვსეს ხორენაცი ერთ შემთხვევაში, როდესაც უფლისწული ზარეჰის დაატყვევების ამბავს მოგვითხრობს, არ მოიხსენიებს ალანთა ციხეს, ქართველებმა, იგი „კავკასიის მთაზე ციხეში“ ჩასვეს<sup>3</sup>. ამ ციხეს ლეონტი მროველი „ციხესა დარიალანისას“ უწოდებს, ვახუშტი ბაგრატიონი – „დარიელას“, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი კი „დალარას“<sup>4</sup>. მაგრამ, ერთგან, მოვსეს ხორენაცი, როდესაც წმ. ნინოზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ „მან იქადაგა [სახარება] კლარჯეთიდან დანყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე“<sup>5</sup>. ორივე შემთხვევაში მიუთითებს, რომ ციხეც და გასასვლელიც ქართლის მეფეთა ხელშია. სომხური გეოგრაფიის მიხედვითაც, „აქსანაგ იორი“ – „ალანთა კარი“ (გასასვლელი) წანარების ტერიტორიაზეა მითითებული<sup>6</sup>.

სტ. ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველ ქართულ თარგმანების ორივე ტექსტში მოიხსენიება „კარი დარიელასი“ და „დარიელა“ (სომხური ტექსტში „იორი ზარქაქაქა“)<sup>7</sup>. ისტორიკოსს ასევე მოეპოვება მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ალანთა კარს ადრე „დარიალი“ რქმევია, ხოლო მის დროს უკვე „ჯასანის ხეობა“. ისტორიკოსის ცნობით, ამ გზით მოდიოდნენ ხაზარები, ალანები, ოსები,

<sup>1</sup> იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 21, 81.

<sup>2</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. გვ. 234; მატთანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 256-257.

<sup>3</sup> მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 140.

<sup>4</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. გვ. 49; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 65; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. გვ. 53.

<sup>5</sup> მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. გვ. 172; შდრ. მოვსეს ხორენაცი „დარანალის“ სახელწოდებით მოიხსენიებს უღელტეხილს, ეფრატის ხეობაში, სავარაუდოდ გადასასვლელის მნიშვნელობით: მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. გვ. 211.

<sup>6</sup> Армянская география VII века (приписывавшаяся Моисею Хоренскому). Текст и перевод с присовокуплением карт и объяснительных примечаний издал К. П. Патканов. СПб., 1877, гв. 37.

<sup>7</sup> სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 27, 116.

ყივჩალები“ და ჯარი ჩრდილოეთის ულუსიდან, ბერქას შთამომავლები<sup>1</sup>. თუ სტიფანოს ორბელიანის ცნობას დავეყრდნობით, „დარიალი“ „ალანთა კარზე“ უფრო ძველი სახელწოდება ყოფილა, რასაც მხარს უჭერს ასევე ქართულ წყაროთა მონაცემებიც და „დარილ/დარიელ/დარიალ-ის“ სხვადასხვა ფორმები არ შეიძლება მივიღოთ მხოლოდ „დარიალანის“ დამახინჯებულ ფორმად.

აგრეთვე გიულდენშტედტიც, რომელიც ხევს ქართულ თემად მიიჩნევს, დარიალს მოიხსენიებს, როგორც Dariella და აღნიშნავს, რომ „ძველი ციხე-სიმაგრის დარიალის პირდაპირ, არის ტყვიის კრიალას ძარღვები<sup>2</sup>. იგი დარიელს აგრეთვე, „არაგვის კარს“ უწოდებს<sup>3</sup>. თვით პავლე ციციანოვი დარიალს „კავკასიის ჭიშკრად“ მოიხსენიებს<sup>4</sup>.

როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვა ქართული წყაროები ძირითადად მოიხსენიებენ „დარიალ“/„დარიელას“ (გზა და კარი). „დარიალ/დარიალანის“ გარდა, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში დარიალი მოიხსენიება, როგორც „დარულა / დარალა / დარიელო“; „დარალა / დარალას / დარალასი / დარალისა / დარალისასა“; „დარლანისი / დარლანისა“; „დარლანისა / დარლანისასა“; „დარიანისასა“. ფარსადან გორგიჯანისძეს, რომელსაც რ. კიკნაძის გამოკვლევით, წყაროდ გამოყენებული აქვს „ქართლის ცხოვრების“ ორი სხვადასხვა ნუსხა, დარიალი „დარალამის“ ფორმით აქვს მოცემული. ოსთა სტიქიური შემოსევებისგან ქართველებსა და მონღოლებს უნდა დაეცვათ „კარი დარალამისა და გზანი დვალეთისა და ოსეთისა“<sup>5</sup>. აქ „დარალამი“ (დარიალ/დარიალანი) არ არის მოხსენიებული ე.წ. „ოვსთა კარად“.

„დარიალის“ ზემოთ განხილული ფორმები შეუძლებელია ყველა დამახინჯებული ფორმა იყოს „დარი+ალანისა“ (ალანთა კარი), რომელიც ძირითადად აღმოსავლურ წყაროებში დამკვიდრდა. კავკასიაში ალანთა გამოჩენამდე, მდინარეს, რომელიც აღნიშნულ ხეობას ქმნის „დარიელო“ ან „არაგვი“ ჰქვია, რაც დაფიქსირებულია „ქართლის ცხოვრებაში“. „არაგვის კარი“ და „დარიალის კარი“ ხეობაში გამავალ კლდეკარზე მიუთითებს, საიდანაც შეიძლებოდა, როგორც გასვლა, ასევე შემოსვლა. Словарь кавказских языков-ში „შესვლა“-ს (Войти) თუშური შესატყვისია Долар<sup>6</sup>. „გამოსვლა“-ს

<sup>1</sup> История Монголов по армянским источникам. I, перевод и объяснения К. Патканова, СПб., 1873, გვ. 62.

<sup>2</sup> ვ. გამრეკელი. საქართველოს 1772 წლის რუკა. თბ., 1964, გვ. 32, 88.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გვ. 189.

<sup>4</sup> Акты, собранные Кавказской археографической комиссией. 2, Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Дмитриевича Цицианова, 1802-1806, под ред. Ад. Берже, Тфл., 1868, გვ. 224.

<sup>5</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 230.

<sup>6</sup> Халилов М. Ш., Климов А.Г. Словарь кавказских языков. Сопоставление основной

ჩეჩნური შესატყვისია Далар, ხოლო „გამოყვანა“-ს – Даладар<sup>1</sup>. თანამედროვე ინგუშურში „გასასვლელი“-ს შესატყვისია Чакхдалар, тЕхвалар, дIавахар<sup>2</sup>. თანამედროვე ჩეჩნურში „გასასვლელი“ არის Чехкдалар, გადასვლა – дала, გადასასვლელი – далар, თავდასხმაზე გადასვლა – ТЕлахтаре далар<sup>3</sup>, „გადასასვლელი“ ორივე ენაზე – Дехьадалар<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ ვაინახურ ენებზე „გადასასვლელ“/“გასასვლელის“ და მასთან დაკავშირებული სიტყვების აღნიშვნაში ფიგურირებს „დალარ“ სემანტი. არ გამოვრიცხავთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში და ზოგიერთ ნუსხაში მოხსენიებული „დალარ/ დალარა/ დარალა/ დარულა“ დარიალანის დამახინჯებული ფორმა კი არ უნდა იყოს, არამედ გასასვლელის კონკრეტული სახელწოდება, რომელსაც სემანტიკურად სავსებით შეესაბამება დარიალის ანუ თერგის ვინრო და კლდოვანი სტრატეგიული მნიშვნელობის კარ-გასასვლელის სახელი, რომელიც ვაინახი ხალხის (შდრ. „დურძუკები“) ენებში შემოგვრჩა.

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გასასვლელის (კარი) ფუნქციიდან გამომდინარე, სემანტიკურად, ძალზედ საინტერესოა აგრეთვე, ის ინფორმაცია, რომელიც ქართველურმა ენებმა და მისმა ზოგიერთმა დიალექტმა შემოგვინახა. თუშურ დიალექტზე „დარიელ“-ი თვალთვალს, „ჩუმად თვალყურის ქერას“ ნიშნავს, „უდარიელა-უთვალთვალა“ ან „ჩასაფრებით თვალთვალს“<sup>5</sup>. ქართლურ დიალექტზეც „დარილ“-ი თვალთვალს, ზვერვას, დარაჯობას, „საფარიდან თვალყურის დევნას“ ნიშნავს<sup>6</sup>. კახურ დიალექტზე „დადარიელება“ დადარაჯებას, ჩასაფრებას და თვალთვალს აღნიშნავს<sup>7</sup>. ასევე, ქიზიყურ დიალექტზე „დარიელობა“ დარაჯობას (შდრ. იდარიელე/უდარიელე) ნიშნავს<sup>8</sup>. ამასთან დაკავშირებით, ძალზედ მნიშვნელოვანია მკვლევარ მ. ჩუხუას დაკვირვება, რომელიც „დარ“-ძირს საერთოქართველურ დონეზე აღადგენს: „სვან. დარ- // დრ, ხ-ე-დრ-ალ ბზ., ხ-ე-დრ-ალ (ოს-დარ-ალ) ბქ., ხ-ე-დარ-ალ ლნტ. „უთვალთვალებს, უდარაჯებს“<sup>9</sup>. ზანურის შესატყვისად მას მიაჩნია დორ: „ე-დორ-ია“ „მარჯვე დრო“, ჭან. ჰე-მ-ინ-დორ-ას „ამ დროს“. მკვლევარი დასძენს, რომ „სვანური დარ- მნიშვნელობით უფრო ქართულის დარილს, დადარილებას ეკედლევა, ხოლო ზანური ფუძეები ქართულის დარ-/დრო-სთან ავლენენ მჭიდრო

ლექსიკი. М. 2003, გვ. 128.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>2</sup> Оздоев И. А. Русско-ингушский словарь. გვ. 592.

<sup>3</sup> Карасаев А. Т., Мациев А. Г. Русско-чеченский словарь. М., 1978, გვ. 392, 399, 493.

<sup>4</sup> Мациев А. Г., Оздоев И. А. Русско-чеченско-ингушский словарь. Грозный, 1966, გვ. 407.

<sup>5</sup> გ. ცოცანიძე. თუშური ლექსიკონი. თბ., 2012, გვ. 85.

<sup>6</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გვ. 184-185.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>8</sup> ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943, გვ. 53.

<sup>9</sup> მ. ჩუხუა. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბ., 2003, 91.

კავშირს“<sup>1</sup>. ამრიგად, ქართულ დიალექტებში არსებული დარილ/დარიელ და მისგან მომდინარე დადარიელება/დარილობა „დარ“ საერთო ქართველური ძირიდან მომდინარეობს.

სულხან-საბა ორბელიანმა შემოგვინახა ერთი საინტერესო სიტყვა – „დადარნება“<sup>2</sup> (დადარნებული), რომელიც ახსნილი აქვს, როგორც „ბუსუნს ჯდომა“, საკუთრივ „ბუსუნი“<sup>3</sup> კი განმარტებული აქვს, როგორც „სადა არა ჰგონებდე, მტერი მუნ გიმზერდეს“ ან „მუნ ბრძოლა (უ)ყოს“<sup>4</sup>. სამალავის მნიშვნელობით, ასევე საინტერესოა სიტყვა „დარანი“, რომელიც საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებზე საიდუმლო ხვრელს, ციხის სარდაფს, ტყვეთა დასამწყვდევეს, შიშიანობის დროს სამალავს ან რაიმე ამოთხრილს ნიშნავს. მისი შესატყვისია გურულ დიალექტზე „დარნა/დარნე“, ორმო ან მოგრძოდ გამოთხრილი მინა<sup>5</sup>. სულხან-საბა ორბელიანი მას განმარტავს, როგორც „კლდეში ანუ მინას ქვეშ შესასვლელი“ ან „მინა და კლდე შეთხრილი უჩინრად“<sup>6</sup>. *Դարան* (დარან) ასევე სომხურად ნიშნავს „სამალავი, საფარი“ (შდრ. სადარნო), *Դարանակալ* – ჩასაფრებული<sup>7</sup>. „დარილის“ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოხსენიებული ფორმებიდან საინტერესოდ მიგვაჩნია „დარლალა“ (შდრ. „დარლანისა/დარლანისასა“), რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ნაგები დარანი“ ან „ა(ღ) შენებული დარანი“<sup>8</sup>.

ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „დადარნება“ განმარტებულია როგორც „დამალვა“, „მზერა“, „საფარს ცხოვრება“ – „დაიდარნა ველსა შინა“; „დაემალა მათ“; „უმზირდით უკანა ქალაქსა“. მისგან მომდინარეობს „დადარ(ა)ნებული“ ანუ „მზირი“ და „ჩასაფრებული“ („დადარნებული იგი აღდგენ ადრე ადგილით მათით“; „მზირნი აღდგედ მსწრაფლ ადგილით მათით“)<sup>9</sup>. მას შეესაბამება „ედარნა“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც „სადარნოსა მჯდომარე“ ან „დარანთა ყოფილ“<sup>10</sup>. მკვლევრის განმარტებით „სადარნო“ კი იგივე საბუსუნოა<sup>11</sup>. „სადა-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> შდრ. „დარინება“: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 199. შდრ. ძველსომხურად – *Մուսնել ի դարան, դարանասուտ լինել, ի դարանի բնակել* – დადარნება: ი. აბულაძე. ძველ ქართული, ძველ სომხური ლექსიკონი. თბ., 2014, გვ. 217.

<sup>3</sup> შდრ. იმერულ დიალექტზე – „ბუსუნ-ი ჩუმი ხმა, ჩამი-ჩუმი“: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გვ. 95.

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 123, 186.

<sup>5</sup> ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გვ. 183-185.

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 97.

<sup>7</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, სომხურ-ქართული ლექსიკონი. გვ. 86; ი. აბულაძე. ძველ ქართული, ძველ სომხური ლექსიკონი. გვ. 217.

<sup>8</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 199.

<sup>9</sup> ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გვ. 107.

<sup>10</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 230.

<sup>11</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 25.

რანო/სადარნე/სადარნო“ ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია, როგორც „სამზირი“ და „სამსტრო / სამსტორო / სამსტურო / სამსტოვრო“ და იგი მომდინარეობს „დარანისგან“, როგორც საზვერავი („მივიდეს სადარანოდ“ / „ნარვიდეს სამზირად“ / „მოვიდა სამსტოროსა მის უდაბნოდსა“)¹. მას უკავშირდება „სტვნვა/სტუნვა“ – ზვერვა/თვალთვალი².

სულხან-საბა ორბელიანის თანახმად, „მზერა არს გულის წყრომისა დამარხვა, რომელ არს დარილი“, ხოლო „დარილი არს რისხვა მაძიებელი ჟამთა ტანჯვისათვის ვისიმე“³. ამ შემთხვევაში დარილი, რომელიც ბოროტ განზრახვას უკავშირდება⁴, ჩასაფრებასთანაც ასოცირდება. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „დარილი“ (ვუდარილებ) არის „ტურნება მზერა თუ ჟამისძიება“⁵. „დარილი, დადარილება“ (ვუდარილებ) ასევე დ. ჩუბუნაშვილის განმარტებით ნიშნავს: „ვუტურნებ, დროს შევურჩევ, ჟამს ვეძიებ“⁶.

აღნიშნულს ამტკიცებს ქართული ენის დიალექტებში არსებული ლექსიკაც. ქართლურ დიალექტზე „უდარილა/უდარილებს/უდარილებენ“ ნიშნავს: „უდროვა, მომენტი უპოვა, დრო უშოვა“, „დროს ეძებს, რომ თავის ბოროტება მოასწროს“, უთვალთვალენ, უდარაჯებენ, დროს უპოვნიან⁷. ამ სიტყვას შთამბეჭდავად განიხილავს გ. შატერაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ „დარილი“ მხოლოდ უბრალო დარაჯობა, ზვერვა, თვალთვალი არ ყოფილა, „დარილი“ გულში ფარულად შენახული რისხვა, გულის-წყრომა და განზრახვის შესრულებისათვის შესაფერ ჟამთა ძიებაა⁸.

¹ ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გვ. 354, 364.

² ქართული ენის დიალექტებში საინტერესო მასალა შემოგვრჩა „მზირთან“ დაკავშირებით. ერთი მნიშვნელობით მოხვეწურ და თუშურ დიალექტზე იგი ნიშნავს მეთვალყურეს, მოთვალთვალეს და მზვერავს. სხვა მნიშვნელობით თუშურ დიალექტზე ნიშნავს ლაშქარს, ხევსურულად კი „სისხლის ასაღებად ან დავლის საშოვრად წასული ხალხი“; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გვ. 361; ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გვ. 103.

³ შდრ. „დარილი/დადარილება/მზერა“: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 186, 199; „მზირი“ - მსტოვარი ან ჯაშუში, „იმზირა - მზირობა ყო“, „სამზირალი - მზირის ადგილი“, „უმზირდა/უმზერდა - მოკვლად ეძიებდა“; სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 177, 473. შდრ. ხევსურულ დიალექტზე დარილი - „დალაღეტება, ლალატი“; ა. შანიძე. ქართული კილოები მთაში. თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბ., 1984, გვ. 311.

⁴ შდრ. „რალი“ – „ბოროტი თქმა“/„ბოროტი ზრახვა“: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 10; შდრ. ჩეჩნურად - Дардала/Дардан - განრისხება, გაბრაზება; რ. ფარეულიძე. ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 2003, გვ. 68.

⁵ ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი 1812-1825 წწ. გვ. 142.

⁶ ქართულ-რუსული ლექსიკონი. საუნჯე ქართულის ენისა ხელ-ახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან, სპბ., 1887, გვ. 403.

⁷ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გვ. 184.

⁸ ამ სიტყვით გეოგრაფიული სახელწოდების „დარილის“ ახსნის პირველი მცდელობა თეიმურაზ ბატონიშვილს ჰქონია, რომელიც არ არის გაზიარებული, თუმცა საყუ-

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე, შესაძლოა დავუშვათ, რომ „დარიალ/დარიელი“ წარმოჩინდება როგორც ჩრდილოეთის სტრატეგიული მნიშვნელობის კარ-გასასვლელის სახელწოდება, რომელიც, კარის ფუნქციიდან გამომდინარე, სემანტიკურად ასევე მოიცავს ჩასაფრების, დაზვერვის და თვალთვალის მნიშვნელობას. ამ შინაარსით გააზრება სრულებითაც არ უშლის ხელს მისი, ასევე, რომელიმე სატომო სახელწოდებით სახელდებას, რაც აისახა კიდევ ანტიკურ და აღმოსავლურ წყაროებში.

---

რადღებოდ მიიჩნევა: გ. შატბერაშვილი. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თხზულება 4 ტომად, ტ. 4, თბ., 1975, გვ. 438; ს. ყუბანიეშვილის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში, „თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი“, არ შესულა პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივში დაცული თეიმურაზ ბაგრატიონის ბროსესადმი გაგზავნილი ზოგიერთი განმარტება, მაგ., როგორცაა „დარიალა, განმარტება შემეცნებისათვის დარიალას კარისა“: ლიტერატურული საქართველო, 1964, №45; ეს წერილი E91 (E156)-ით არის მითითებული აღნიშნული არქივის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში. აღწერილობის მიხედვით, საკითხი ეხება ადგილის მოკლე ისტორიას, სახელწოდების ანალიზს ქართულ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით. ნაშრომი დანერგილი უნდა იყოს 1838 წლის ბოლოს პეტერბურგში: Орбели П. Р. Грузинские рукописи института Востоковедения АН СССР. М.-Л., 1956, გვ. 42-43. სამწუხაროდ ამ დოკუმენტზე წვდომა არ გვაქვს, რაც გაამდიდრებდა და მეტ ინფორმაციას შესქენდა „დარიალ-დარიალანის“ ეტიმოლოგიას.

## THE NAME OF DARIALI ACCORDING TO THE GEORGIAN CHRONICLES AND ITS DIALECTICAL CORRESPONDENCES

**Ketevan Kutateladze**

*Georgia*

The strategic pass – Gates of the Caucasus, known as the „Caucasus Gates“, the „Iberian Gates“, the „Caspian Gates“, the „Sarmatian Gates“, is represented in the „Georgian Chronicles“ („Life of Kartli“) under the name „Darial / Dariel / Darialani“, although it has also an old Georgian name, preserved in Georgian sources.

Strabo considered the Caucasus to be the pass between the Black and Caspian Seas, and pointed that it „strengthens the passage that separates [the seas]. [This mountain] borders Albania and Iberia to the south, and the lowlands of Sarmatia to the north“. Strabo also adds that the Albanian and Iberian tribes occupy basically the above „mentioned pass called „the Caucasus Gates“<sup>1</sup>. Pliny also calls it „the Caucasus Gates“. According to Pliny’s description, „the natural exit between the rocks is bounded by iron-plated logs under which, in the middle of the rocks, the river flows down, and on the side of the Gates there is a fortress on the rock, known under the name Kumania<sup>2</sup>, which was built up to obstruct the passage and avoid passing the tribes, amassed at the entrance“<sup>3</sup>. He considers that the Gates is on the territory of Iberia, and adds that via crossing Iberia, the exit „leads to the land of Sarmatia“<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> Qaukhchishvili T. Strabo’s Geography, Information about Georgia, Tb., 1957, pp. 126-127 (in Georg.).

<sup>2</sup> The etymology of this name is unknown, in Georgian historiography in one case it is identified with „Dariali Fortress“, in another case with „Kumlistsikhe“ (Kazbegi district, Gudauri community), which is located on the southern slope of Jvari Pass on the bank of Mtiuleti Aragvi: Orthographic Dictionary. Tb., 1987, p. 110 (in Georg.); Topo archaeological Dictionary of Life of Kartli. ed. G. Gamqrelidze, Tb., 2013, p. 739 (in Georg.); The name Kumania requires proper explanation, although it is possible that the general name of any of the nomadic peoples, such as „Sarmatians“, „Scythian“, „Alans“, etc. was implied. Stephen of Byzantium names the Comans by the Caspian Sea: Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказь, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. I, в. II, СПб., 1896, p. 261; Kuma is a river in the North Caucasus, which is referred to by Guldenstedt in Circassia; Guldenstedt’s trip to Georgia, g. Gelashvili Edition, vol. I, Tb., 1962, vol. II, Tb., 1969, p. 53.

<sup>3</sup> Arbolashvili L. Pliny the Elder’s „History of Nature“ as a Source of Georgian History. Caucasiological Series, III, Tb., 2006, p. 151 (in Georg.); Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказь, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. II, в. I, СПб., 1904, p. 182; Известия древних греческих и римских писателей о Кавказь, собрал и перевел с подлинников К. Гань. ч. I, Тб., 1884, p. 107.

<sup>4</sup> Arbolashvili L. Pliny the Elder’s „History of Nature“. p. 153; Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказь. p. 184.

Pliny notes that the Gates of Iberia mistakenly is called the Caspian<sup>1</sup> Gates<sup>2</sup> which, as mentioned above is called the „Caucasus Gates“<sup>3</sup>. Strabo makes a mention of the fortress as an impregnable one<sup>3</sup>.

Leonti Mroveli calls Darial „the Aragvi Gates“<sup>4</sup>. Juansher also calls „Aragvi“, the river, that passes through „Darialan“: „and this river is also called Aragvi“ as the both rivers originate in the same mountain: The Aragvi of Kartli and the Aragvi of Ossetia<sup>5</sup>. This river is the same Terek, which Vakhushti Batonishvili sometimes refers to as „Aragvi“ and sometimes as „Lomek“: „The river of Khevi up to Cherkassy is called Aragvi and the Lomek river from ancient times, and now it is called Terek, which „flows from Khevi to the Caucasus“<sup>6</sup>. An old Armenian translation of „Kartlis Tskhovreba“ („Life of Kartli“) refers to „the Aragvi Gates“ as „Dariala“<sup>7</sup>, while in the Mariam’s version of „Kartlis Tskhovreba“ it is called „Da: Rghala.“<sup>8</sup>.

According to Ana’s „Life of Kartli“ the river, which flows into the Dariali gorge, is called „Dariealo“<sup>9</sup>. Teimuraz Bagrationi also mentions that one out of the two Gates

<sup>1</sup> T. Kaukhchishvili noted that according to ancient sources, the „Caspian Gates“ is sometimes understood as „Dariali“ and in some cases as „Darubandi“: T. Kaukhchishvili, *Ancient Greek Sources of Georgian History*. Tb., 1976, p. 218 (in Georg.); Inadze M. *Caspian Gate (Dariali, Darubandi)* In *International Diplomatic Relations of I-VI Centuries BC, Georgian Diplomacy, Yearbook, III*, Tbilisi, 1996, p.50] (in Georg.). G. Gozalishvili dedicated a special letter to the „Caspian Gates“, which refers to Darial: Gozalishvili G. *Caspian Gate*. Enimkis Moambe, V-VI, 1940, pp. 469-477 (in Georg.). On this issue, see also: Cheishvili G. *The Caspian Gates, Iberian Borders and International Relations in the 6<sup>th</sup> Century*. *Annals*, 2014, N2, pp. 164-194.

<sup>2</sup> Gozalishvili G. *Caspian Gate...* p. 470; *Известия древних греческих и римских писателей о Кавказье*. p. 109.

<sup>3</sup> Qaukhchishvili T. *Strabo’s...* p. 129; *Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказь*, собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. I, в. I, СПб., 1893, p. 140; *Известия древних греческих и римских писателей о Кавказье*. p. 68.

<sup>4</sup> Leonti Mroveli. *Life of Georgian Kings*. *Life of Kartli, I*, text established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Tb., 1955, p. 12 (in Georg.); *History and admiration of Monarchs*. *Life of Kartli, II*, 1959, p. 44 (in Georg.).

<sup>5</sup> Juansheri. *Life of Vakhtang Gorgasali*. *Life of Kartli, I*, text established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Tb., 1955, p. 151.

<sup>6</sup> Vakhushti Batonishvili. *Description of the Kingdom of Georgia*. *Life of Kartli, IV*, text established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili, Tb., 1973, pp. 356, 633.

<sup>7</sup> Old Armenian translation of the *Life of Kartli*. Georgian text and old Armenian translation with research and dictionary was edited by Ilia Abuladze, Tb., 1953, p. 15-16; Leonti Mroveli notes that the „Khazars“ would enter the Caucasus through two entrances - „Seaside / Daruband“ and „Aragvi Gates / Dariala“: Leonti Mroveli. *Life of Georgian Kings*. p. 12; Regarding the same fact, the old Armenian translation mentions the following except for „Darubandi“: „The Khazars found another door called Dariala“ [pp. 15-16], text for the Rummyantsev’s list states that in addition to the Sea Gates / Daruband, there was „another road to Dariela, which passed through the Caucasus via the Aragvi“: *Life of New Kartli*. Vakhtang’s edition, published by Goneli Arakhamia, Tb., 2017, p. 273 (in Georg.).

<sup>8</sup> Corrected in the footnotes as „Darialai.e.Dariala“: *Life of Kartli, Queen Mariam’s version*, published by E. Takaishvili. Tb., 1906, p. 9 (in Georg.).

<sup>9</sup> *Life of Kartli, list of Queen Anna*, edited by Simon Kaukhchishvili, Tb., 1942, p. 99 (in Georg.);

of the Caucasus is the „Gates of Dariela (i.e. Khevi), which flows „through Lomek (i.e., through the river Terek“<sup>1</sup>. Thus, the river which forms the Dariali Gorge, according to „Life of Kartli“ is called „Aragvi“ and „Dariealo“ and, respectively, the both names the „Aragvi Gates“ and the „Dariali Gates“ mean the exit to the Terek i.e. the Dariali Gorge.

Vakhushti Batonishvili informs us that the king Asphagur „Opened the Gates of the Caucasus and brought out Ossetians and Lezgins“ and attacked the Persians<sup>2</sup>. Regarding the same fact, Leonti Mroveli’s „Life of Kings“ notes that „Asphagur opened the Gates of the Caucasus, and brought out the Ossetians Lezgins and Khazars“<sup>3</sup>. This is the case when „Darial / Darialani“ is called the „Caucasus Gates“ in „Life of Kartli“.

Weidenbaum, in accordance with the folk speech, refers to the Dariali Gorge as the „Khevi Gates“ i.e. the Gates of the Gorge, in this case of Terek i.e. the Dariali Gorge<sup>4</sup>.

According to the Georgian sources, the crossing over the Aragvi Gorge to the Terek Gorge occurred from the Jvari Pass: „They crossed over the Jvari Pass and arrived to Darial“<sup>5</sup>. The Jvari Pass is a pass in the Jvari mountain. Vakhushti Batonishvili mentions „Pass“ when describing Khevi. He notes that the Khevi river i.e. the Terek meets Khevi to the Northward of the Gorge, which is called „a descent“<sup>6</sup>. A descent i.e. downhill is connected with going down<sup>7</sup>. The Georgian military road passed through the „Jvari i.e Khevi Mountain Pass“ (2388 m)<sup>8</sup>.

According to the Georgian source, „Darial / Darialani“ is not just the name of one geographical point. It also denotes the name of both the Gates and the Locking Fortress. Vakhushti Batonishvili also mentions other fortresses in the gorge, which should have had a unified system of military readiness against the enemy entering the gorge. It is supposed, that the David and Darial Fortresses were preferable for locking the Nomadic tribes from intervention or bringing them for help“<sup>9</sup>.

---

Weidenbaum notes that „this Gates was in the territory of Iberia, where Diriodoris was a flowing with noise: Путеводитель по Кавказу. составил Е. Вейденбаум. Тб., 1888, p. 265.

<sup>1</sup> Batonishvili Teimuraz, History from the Beginning of Iveria, i. e. Georgia, which is entirely of Georgia. SPB., 1848, p. 70 (in Georg.).

<sup>2</sup> General name of the people of Turkish Origin: Batonishvili Vakhushti. Description of the Kingdom of Georgia. Life of Kartli, IV, Tb., 1973, p. 71 (in Georg.).

<sup>3</sup> General name of the people of Turkish Origin: Life of Kartli. I, Tb., 1955, p. 59.

<sup>4</sup> Путеводитель по Кавказу. p. 265.

<sup>5</sup> Life of Kartli. II, Tb., 1959, p. 443 (in Georg.).

<sup>6</sup> Vakhushti Batonishvili. Description of the Kingdom of Georgia. p. 356.

<sup>7</sup> Abuladze II. Dictionary of the Old Georgian Language. Tb., 1973, pp. 502, 126; Orbeliani Sulkhan-Saba. Dictionary Georgian. I, Tb., 1991; II, Tb., 1993, p. 300 (in Georg.); Comp. In ancient Armenian darivayr / darivar – դարիվայր/ դարիվար – „descend, slope“: Melikset-Beg L. Armenian-Georgian Dictionary. Edited by Merab Robakidze, Tb., 1996, p. 86.

<sup>8</sup> Maruashvili L. Physical Geography of Georgia. Tb., 1964, p. 176 (in Georg.).

<sup>9</sup> Cheishvili G. Caspian Gates. Iberian Borders and International Relations in the Sixth Century, Annals, 2014, N2, Tb., p. 186 (in Georg.).

Vakhushti Bagrationi mentions the „Arsha Fortress“ below the decent, on the slope of the glacier, on a high cliff, bounded by a rock and „inaccessible for men“<sup>1</sup>. The castle could only be approached from the north, a narrow exit of which was blocked by a wall and a Gates. The fort was quite large and during the war almost the whole gorge was sheltered, the fort was also supplied with water<sup>2</sup>. It is located in the Chkhati water ravine, where there is the Arshi waterfall and the icon niche „in the name of St. White George“<sup>3</sup>. „Chkhati“ in the Mokhebian, Tush and Mtiulian dialects means a waterfall, a cascade<sup>4</sup>, by which this ravine was distinguished.

After that, Vakhushti name the „Ghudushauri Fortress“ at the confluence of the Achkhoti and Terek rivers, which is considered as the „Sno Fortress“. It is perched on an overhanging cliff and is difficult to reach, protecting the Ghudushauri Gorge. The fortress has tiers of warriors with holes for guns and boulders. The garrisons of the Arsha and Sno Fortresses acted jointly when a common enemy was attacking<sup>5</sup>. Vakhushti mentions that the road to Gudamakari passed over this Gorge, and northward he names Stephantsminda, and to its west Gerget<sup>6</sup>.

„Gueleti is the next geographical point, mentioned by Vakhushti, where David the son of Demeter, the insurgent against the Mongols, took shelter; the Mongols could not capture the fortress. According to the data of the Georgian sources, the Gueleti Fortress is located in the „Darial / Dar [i] ali“ Gorge<sup>7</sup>.

The Ilkhanate Mongols' activation in the Aragvi and Dariali Gorges was conditioned by their fear that David could give these roads to the representatives of Golden Horde against them. Gueleti Fortress is built on the two high cliffs and „a narrow pass, connecting these rocks“<sup>8</sup>. Water flowing from Khde joins the river Terek at the Gueleti village and then flows into the Dariali defile full of massive granite rocks<sup>9</sup>.

---

<sup>1</sup> In the Khevsur, Mtiul and Gudamakruli dialects, „Arsha“ was called a gun with zinc bullets (cf. „Arshaviani“): Dictionary of Georgian Synonyms. Tb., 1978, p. 40 (in Georg.); Vakhushti Batonishvili. Description of the Kingdom of Georgia. p. 357.

<sup>2</sup> Zakaraia P. Dariali Fortress (Guide). Tb., 1957, pp. 49-50 (in Georg.).

<sup>3</sup> Арджеванидзе И. Военно-грузинская дорога. Тб., 1954, p. 224.

<sup>4</sup> Glossary of Georgian Dialect-idiolectal words, compiled by Al. Glonti. Tb., 1984, p. 668 (in Georg.).

<sup>5</sup> Zakaraia P. The Aragvi and Terek Gorge. Historical-Architectural Guide, Tb., 1972, p. 50 (in Georg.); Арджеванидзе И. Ibid, p. 225.

<sup>6</sup> Vakhushti Batonishvili. Ibid. p. 357.

<sup>7</sup> The entry of the Dariali Gorge is the confluence of the river Chkhvira and the end is considered the Lars checkpoint, and the total length of the cliff is 11 km, where the Terg has a significant drop and in its narrowest part (part of the Khde water) up to 1350 m, and 1200 m. at the northern border of Georgia: Maruashvili L. Ibid, pp. 199- 200; Life of Kartli. II, Tb., 1959, pp. 305, 409, 443; Beri Egnatashvili. Life of Akhali Kartli. The first text. Life of Akhali Kartli. The second text; Dictionary of Georgian Synonyms. Tb., 1978, p. 105 (in Georg.).

<sup>8</sup> Mindorashvili D. Archaeological Excavations in Khevi. Tb., 2005, p. 19 (in Georg.).

<sup>9</sup> Maruashvili L. Ibid, pp. 200-201.

The Dariali Fortress is located 2 km from Gueleti Fortress. The Gueleti Fortress, together with Darial, were the „the stronghold that protected and controlled the main road of the Caucasus<sup>1</sup>. The Khde water (Кистинка) should be meant when Vakhushti writes that „Gueleti is joined below by Aragve (Terek – K.K.) The gorge... leads to Gudamakari and Dzurdzuki in the Caucasus... the pathway is difficult, necessary, leading to Dzurdzuketi and Kisteti“.<sup>2</sup>

Iv.Javakhishvili, based on the information of the Laws of King George V (Dzeglisdeba), which says: „We reached Dariela“, „those who returned from Dariela prayed before „Mtavarmotsame of Lomisi“ (the chief martyr of Lomisi)<sup>3</sup>, thought that „Darialani“ should be considered the northern boundary of the sphere of action of the Laws of King George V<sup>4</sup>; this means that the northern boundary line ran beyond the main watershed ridge of the Caucasus to the northern slope, which was locked by the Dariali Gates-Exit.

The earlier period of the „Kings' life“ connects fortification of the Gates on the passes of the Caucasus to marching against the Durdzüks<sup>5</sup>, rather than to the „Alans“ i.e. the Ossetians. At the time of the Kartlian King Mirvan, the Durdzüks crossed the Caucasus, and joining on the way the Durdzüks resettled by King Saurmag to the Chartali Gorge before, ravaged Kakheti and Bazaleti<sup>6</sup>. Mirvan set out on a campaign against Durdzuketi with a united army. „The Durdzüks gathered and got in the way to the upper fortified Gates of the Caucasus“. „Mirvan „came to the Gates“. After a strong fight, both Chartal and Durdzuketi were subordinated to him. „Then he built a stony Gates and called it Darubal“<sup>7</sup>, which is referred to as „Da: Rubalda“ in Mariam's „Kartlis Tskhovreba“<sup>8</sup>, and as „Darula“ in the C list<sup>9</sup>. According to the old Armenian translation of „Kartlis Tskhovreba“, Mirvan „conquered Durdzuk[et]i, Chartali and the Stony Gates, which was there – „Darbala“<sup>10</sup>. S. Makalatia also noted that the

<sup>1</sup> Mindorashvili D. Ibid, pp. 19-20.

<sup>2</sup> Vakhushti Batonishvili. Ibid, p. 358.

<sup>3</sup> Laws of King George V the Magnificent, published by Davit Purtseladze. Tb., 1988, p. 35-36 (in Georg.).

<sup>4</sup> Javakhishvili Iv. History of Georgian Law. Book One, Essays in Twelve Volumes, vol. VI, Tb., 1982, p. 99 (in Georg.).

<sup>5</sup> „Durdzüks“ is the name of the ancestors of the Vainakh people living in the Caucasus. „The Life of Kartli“ also notes „Dzurdzuki“ and „Urdzuki“.

<sup>6</sup> Leonti Mroveli. Ibid, p. 28.

<sup>7</sup> Ibid; Life of Kartli. List of Queen Anna. p. 20; Life of Kartli („Life of Old Kartli“), edited by I. Antelava and N. Shoshiashvili. Tb. 1996, p. 58 (in Georg.); Life of Kartli, edited by Marie Brose, SPB., 1849, p. 34.

<sup>8</sup> Life of Kartli, Queen Mariam's list, published by E. Takaishvili, Tb., 1906, p. 24 (in Georg.).

<sup>9</sup> Leonti Mroveli. Ibid, p. 28.

<sup>10</sup> Old Armenian translation of Kartli life. p. 39; Teimuraz Bagrationi as M. Brosset considers that „Daruband“ is the same „Darubal“: Batonishvili Teimuraz. History from the Beginning of Iveria, i.e. Georgia, which is entirely of Georgia. SPB., 1848, p. 120; Оздоев И. А. Русско-ингушский

Dariali Fortress resisted the inhabitants living beyond Khde, who often came down to destroy Khevi<sup>1</sup>. It turns out that according to Life of Kartli, the „fortification of the Gates“ i.e. fortification of the exit firstly occurred to restrain the Durdzuk i.e. Vainakh population, which is corroborated by the above-mentioned note of Vakhushti about the necessary and hard to pass road in Durdzuketi and Kist. The historian notes that the Caucasus is the watershed of Gudamakari, Khevi and „Dzurdzuk-Kist“<sup>2</sup>. Thus, in the given case, the names of the fortress and Gates mentioned here should not be connected with the Alans.

Due to „Life of Kartli“ the linking of the Alans i.e. the Ossetians to the road and the Gates-exit to the North Caucasus should have occurred more lately. The above mentioned is corroborated not only by the later insertions in the text of the „Life of Kartli“, but also the description of Vakhushti Bagrationi, according to which, in the Dariali Gorge, below the David’s Fortress, which he associates with the name of David Agmashenebeli, „There is Dariela<sup>3</sup> to the east edge of Aragy, (Terek – K.K.) G\*by King Mirvan. The Gates was fortified and a stronghold built for prevention of the Khazars and the Ossetians, from penetration [and is named the conqueror“]. Below it, there had been a settlement of the Kings, which served as a base, „When they march to Ossetia, they will stay there“<sup>4</sup>. The David’s Fortress, the Exit of Dariali and the settlement of the kings, point that all of them entered within the borders of the Kingdom of Kartli as fortifications protecting the extreme northern point. Thus, according to Leonti Mroveli’s „Life of Kings“, Mirvan’s military expedition was directed against Durdzuketi, while regarding the same fact, Vakhushti Batonishvili names the „Ossetians“ and „Khazars“.

According to the researchers, Dariali Fortress is built on a natural cliff on the opposite side of the confluence of the rivers the Terek and Khde. Cliffs were northward and southward, nowadays the West Tower is preserved. Battlements were cut into the walls of the fortress; the fence was fortified with 3 watchtowers. Terek borders the castle from three sides, and a high rock wall from the west. The walls of the fence

---

словарь. М., 1980, p. 269; But it is evident that Mirvan’s military expansion did not take place at the Gates of Daruband. If we consider Mz. Andronikashvili’s explanation of „Dar-u-Band“, where U is the Pahlavi conjunction as „and“, when she translates the word as „Gates and Fortress“: Andronikashvili M. Names of Iranian Tribal Place in Old Georgian Historical Works. Proceedings of the Institute of Linguistics, Oriental Languages Series, I, Tb., 1954, p. 23 (in Georg.); we may be dealing with a similar understanding, which is confirmed by „Mirvan built Gates with mortared stones“ and „built a stronghold“: Leonti Mroveli. Ibid, p. 28; Vakhushti Batonishvili. Ibid. p. 358.

<sup>1</sup> Makalatia S. Khevi. Tb., 1934, p. 13.

<sup>2</sup> Vaxushti Batonishvili. Ibid, pp. 354, 358.

<sup>3</sup> Regarding this name, an explanation is written on the source arch: „Europeans call it the Caucasus Gates and the second the Leketi Caucasus Road“, which refers to the „Daruband Road“: Vakhushti. Ibid, p. 358.

<sup>4</sup> Ibid.

are filled with mortar and its thickness reaches one or two meters. The passage was cut in the south wall, which used to be a tunnel earlier. The tunnel leads to the river Terek, from which water was supplied<sup>1</sup>. According to L. Tsitlanadze, the road passed the rocky cliff and along the left bank of the river Terek. „It passes through the narrow Gates between the fortress and the cliffs which, on its own, was blocked by a wall“<sup>2</sup>. According to descriptions of archaeologists, the North Gates must have been a narrow passage at the foothill of the north-western slope, which was fortified by a 2-6 m wide wall of the second half of the 5<sup>th</sup> century, built on an older and larger wall (thickness-6m, height-5m). „The discovery of such a strong wall at Dariali Fortress elucidates how great its importance was in deterring the attacks of the Nomadic Hordes from the North“. D. Mindorashvili considers that during the reign of Vakhtang Gorgasali, they didn't build a new fortress, „but the existing fortress was fortified“<sup>3</sup>. Archaeological excavations have confirmed that the fortress was provided also with a system of water supply by clay pipes<sup>4</sup>. Among the Khevi toponyms we meet „Old Darialai“, which is called to the nearby territory of the so-called „King Tamar's Fortress“<sup>5</sup>. V. Itonishvili thinks that during the Russian rule, in the period of constructing new communication, the nearby territories of the „Tamar's Fortress“ was attributed the name „Old“<sup>6</sup>.

Vakhushti Bagrationi defines the above-mentioned „Darubal“ as a „Conqueror“, which is connected with „Mre“, meaning – a Conqueror“, I conquered/gained the victory“<sup>7</sup>. „Momrevi“ corresponds to „Reva“/defeat which means strength, gaining victory<sup>8</sup>. Teimuraz Bagrationi defines „Daria“ as „Conquered, gained victory“<sup>9</sup>. It

<sup>1</sup> Makalatia S. Ibid, p. 112; Zakaraia P. Old Fortresses of Georgia. Tb., 1988, pp. 51-53 (in Georg.).

